

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა განაპირობა პრაქტიკაში შექმნილმა იმ რეალურმა მდგომარეობამ, რითაც საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს გარკვეული სირთულეები ექმნებათ მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გარკვეულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადების იძულებით ამოღების აღსრულების პროცესში გადამხდელის მიერ წინააღმდეგობის გაწევის თავიდან აცილებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს ის მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს შეუფერხებლად განახორციელონ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს სანქციის დაწესებას იმ გადამხდელისათვის, რომელიც ხელს შეუშლის გადასახადების იძულებითი წესით ამოღების აღსრულებას. კერძოდ, აღნიშნული უთანაბრდება ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების დამალვას ან განაჩენის (სასამართლო გადაწყვეტილების) აღსრულებისათვის სხვაგვარად თავის არიდებას და სასჯელის სხით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

პროექტის მიხედვით დანაშაულებრივ ქმედებად გათვალისწინებულია აგრეთვე საგადასახადო და საბაჟო ორგანოსათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა, რომელიც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ეხება გადასახადის და/ან მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრას.

ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტით არანაირი ფინანსური გავლენა არ ხორციელდება არცერთ პირზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო

ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.